

**კორონავირუსის პანდემიის გავლენა თურქეთის  
სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე**

*ზურაბ ბატიაშვილი*

თურქეთში ეკონომიკური პრობლემები კორონავირუსის (Covid-19) პანდემიის დაწყებამდეც არსებობდა. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გამოსული 2018 წლის ეკონომიკური შოკიდან, რაც ანკარის წინააღმდეგ ვაშინგტონის დაწესებულ დროებით, მაგრამ ეფექტიან სანქციებს მოჰყვა. ამასთან, თურქეთი ჩართულია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ორ დიდ კონფლიქტში (სირია და ლიბია), სადაც მისი მთავარი მოწინააღმდეგე რუსეთის ფედერაციაა და რაზეც უამრავი ფინანსური რესურსი იხარჯება.

2020 წლის მარტის თვეში თურქეთში პანდემიის დაწყებისა და ეკონომიკის ჩაკეტვის შემდეგ ამ სირთულეებმა კიდევ უფრო მძაფრი სახე მიიღო. მართალია, თურქეთში პანდემია ჯერაც არ დასრულებულა, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგები უკვე აისახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.


ამასთან, მოსალოდნელია, რომ პანდემიისგან გამოწვეული პრობლემები კიდევ დიდხანს გაგრძელდება და თურქეთის საკითხების განხილვისას მისი შედეგების გათვალისწინება გახდება აუცილებელი.

**პანდემიის გავლენა თურქეთის ეკონომიკაზე**

თურქეთის ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2020 წლის 30 ივნისისთვის კორონავირუსით გარდაცვლილთა რაოდენობა 5 131, ხოლო დაავადებულთა რაოდენობა 199 906 იყო. ამასთან, ამ მომენტისთვის ყოველდღიურად ფიქსირდება 1 200-დან 1 500-მდე ახალი შემთხვევა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup>



*კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობა თურქეთში (ყოველდღიურად)*


თურქეთის ხელისუფლებამ კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, 2020 წლის მარტის მეორე ნახევარში, ნაწილობრივ ჩაკეტა ეკონომიკა, რომელიც გახსნა მაისის ბოლოს. თუმცა ეკონომიკის თითქმის ორთვიანმა ჩაკეტვამ მკვეთრად უარყოფითი შედეგები მოუტანა თურქეთის ეკონომიკას.

ეკონომიკის ნაწილობრივი ჩაკეტვის შემდეგ დროებით უმუშევრად დარჩა 5 მილიონი ადამიანი, რომელიც დაემატა წლის დასაწყისისთვის დაფიქსირებულ 4,5 მილიონ უმუშევარ პირს (2019 წლის დეკემბერში უმუშევრობის დონე 13,7% იყო).<sup>2</sup> ეკონომიკის გახსნის შემდეგ მათი ნაწილი (რომელთა დამსაქმებლებიც არ გაკოტრებულან) კი დაბრუნდა სამუშაო ადგილებს, მაგრამ იქ მნიშვნელოვანი გამოწვევები დახვდათ. მაგალითად, თურქეთში საკმაოდ განვითარებულ სავაჭრო ცენტრების ბიზნესს შეექმნა სერიოზული პრობლემა - ეკონომიკის გახსნის შემდეგ ამ ცენტრებს ძველი კლიენტების მხოლოდ 40 პროცენტიდა სტუმრობს.<sup>3</sup> ეს კი დამატებით ქმნის კომპანიების როგორც გაკოტრების, ისე წარმოებისა და პერსონალის შემცირების საფრთხეს.

მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილი პრობლემების გამო შემცირდა მოთხოვნა სხვადასხვა პროდუქტზე (და, მათ შორის, თურქეთში წარმოებულ საქონელზე). შესაბამისად, შემცირდა თურქული პროდუქციის ექსპორტი უცხოეთში. ექსპორტის შემცირებას კი მყარი უცხოური ვალუტის შემოდინების შემცირება მოჰყვა. ამავე დროს, შემცირდა წარმოებაც. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2020 წლის აპრილში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 41,4%-ით შემცირდა თურქული საქონლის ექსპორტი უცხოეთში.<sup>4</sup> იმავე ინსტიტუტის ცნობით, აპრილში, მარტთან შედარებით, 30%-ით შემცირდა წარმოება.<sup>5</sup>

წარმოების შემცირება კი ბევრმა კომპანიამ ვერ გადაიტანა, გაკოტრდა ან გაკოტრების პირასაა. შესაბამისად, იზრდება და დიდი ალბათობით მომავალშიც გაიზრდება ამ სექტორში უმუშევრად დარჩენილთა რაოდენობა.

პანდემიის ფონზე განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ტურიზმის სექტორი. თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წლის აპრილის მონაცემებით, 99,3%-ით შემცირდა უცხოეთიდან ჩასულ ტურისტთა რაოდენობა.<sup>6</sup> ეს ბუნებრივიცაა, რადგან საზღვრები (მათ შორის, საჰაერო მიმოსვლაც) დიდი ხნის განმავლობაში იყო ჩაკეტილი.



*თურქეთში უცხოელი ტურისტების კლება-მატების მაჩვენებელი წლების მიხედვით*

აღსანიშნავია, რომ სიტუაცია არც ეკონომიკის გახსნის შემდეგ შეცვლილა რამდენიმე მიზეზის გამო: ევროპული ქვეყნები არ ჩქარობენ მიმოსვლის აღდგენას თურქეთთან. თურქეთი ვერ მოხვდა ბრიუსელში შემუშავებულ ქვეყანათა სიაში, ვისთანაც 1 ივლისიდან აღდგა მიმოსვლა.<sup>7</sup> ირანსა და რუსეთში კი კვლავ მაღალია Covid-19-ით ინფიცირებულთა რაოდენობა, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათთან საზღვრების გახსნა. ტრადიციულად,

სწორედ ამ სამი ძირითადი მიმართულებიდან ჩადიან ხოლმე უცხოელი ტურისტები თურქეთში. ცალკე საკითხია, რამდენად შეძლებენ, განსაკუთრებით ბოლო დროს, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი რუსეთისა და ირანის მოქალაქეები ფინანსების გამოძებნას თურქეთში დასასვენებლად.

რამდენადაც ზაფხულის დიდი ნაწილი მიიწურა და არავინ იცის, როდის გაიხსნება საზღვრები, წელს ნაკლებად მოსალოდნელია თურქეთის ტურიზმის სექტორის გამოცოცხლება. ტურიზმის სფერო კი თურქეთის ეკონომიკის 12%-ს შეადგენს.<sup>8</sup> შარშან 45,1 მლნ უცხოელი ტურისტი ესტუმრა თურქეთს და ამ სფეროდან მიღებული შემოსავალი 34,9 მლრდ აშშ დოლარი იყო.<sup>9</sup> შესაბამისად, ჩანს, რომ წელს საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს დაკარგავს თურქეთის ეკონომიკა.

ცალკე პრობლემაა თურქეთის ეკონომიკიდან უცხოური ინვესტიციების გადინების საკითხი. მხოლოდ 2020 წლის 1 იანვრიდან ივნისის თვემდე თურქეთის ეკონომიკიდან გავიდა 10 მლრდ აშშ დოლარი.<sup>10</sup>

რიგით მოქალაქეებს რომ საკმაოდ გაუჭირდათ, ეს კარგად ჩანს თურქეთის ბანკების გაერთიანების (TBB) მონაცემებში, რომლის მიხედვითაც, აპრილის თვეში, შარშანდელთან შედარებით, 8-ჯერ გაიზარდა ე.წ. „სამომხმარებლო სესხის“ ამღებთა რაოდენობა. თუ შარშან 120 ათას პირს ჰქონდა ასეთი სახის სესხი აღებული, წელს მათი რიცხვი 920 ათასი გახდა. ამასთან, საინტერესოა, რომ თუ შარშან ამ კრედიტების საშუალო მოცულობა ერთ კლიენტზე 8 858 ლირა იყო, წელს ეს მაჩვენებელი 11 853 ლირაზე ავიდა. ასეთ სიტუაციაში ბევრი გამოთქვამს ეჭვს, შეძლებენ კი ბანკის კლიენტები (და არა მხოლოდ ამ სახის კრედიტის ამღებნი) კრედიტების დაბრუნებას და ვერგადახდის შემთხვევაში რა მდგომარეობაში აღმოჩნდება თურქეთის საბანკო სექტორი?<sup>11</sup>

დეფიციტურია ქვეყნის ბიუჯეტიც. 2020 წლის იანვარ-მაისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტმა 90 მლრდ თურქული ლირა (დაახლოებით 13,1 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა.<sup>12</sup>

შემცირდა ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეზერვებიც (ოქროსა და უცხოურ ვალუტაში), რაც თურქული ლირის კურსის გასამყარებლად გამოიყენებოდა. თუ 2020 წლის თებერვალში რეზერვების საერთო მოცულობა 104 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის იყო,<sup>13</sup> აპრილის თვეში კი 37,8 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა.<sup>14</sup>

---

ამის გარდა, თურქულ კერძო სექტორს მომავალ 12 თვეში უწევს 173,6 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის საგარეო ვალის გასტუმრება, რაც დამატებით წნეხის ქვეშ ამყოფებს თურქული ლირის კურსს.<sup>15</sup>

ასეთ ფონზე დევალვაციას განაგრძობს თურქული ლირა, რომელიც წლის დასაწყისიდან დაახლოებით 13%-ით გაუფასურდა.<sup>16</sup>

ამავე დროს მოიმატა ინფლაციამ და მაისის თვეში წლიურ 12,9%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.<sup>17</sup>

მართალია, თურქეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია მალე გამოსწორდება და ზრდა იქნება (მან ამისთვის ეკონომიკის სტიმულაციის 5 მლრდ დოლარის ეკვივალენტი პაკეტიც შეიმუშავა<sup>18</sup>), მაგრამ უცხოეთში სხვანაირად ფიქრობენ. მაგალითად, IMF (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მიიჩნევს, რომ თურქეთის ეკონომიკა 2020 წელს 5%-ით შემცირდება. OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) კი ვარაუდობს, რომ ახლანდელი მდგომარეობით, თურქეთის ეკონომიკა 4,8%-ით შემცირდება, ხოლო თუ პანდემიის მეორე ტალღა დაიწყოს, მაშინ ქვეყნის ეკონომიკის კიდევ უფრო მეტად, 8,1%-ით შემცირებაა მოსალოდნელი.

ასეთ ფონზე და საზღვრების ჩაკეტვის გამო თურქეთში ლეგალურად თუ არალეგალურად დასაქმებული საქართველოს ბევრი მოქალაქე უმუშევარი და, შესაბამისად, შემოსავლის გარეშე დარჩა. მათ საზღვრების გახსნის მოთხოვნით არაერთი საპროტესტო აქცია მოაწყვეს ბათუმსა<sup>19</sup> და სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის წინ მაისისა და ივნისის თვეებში.<sup>20</sup>

### **ეკონომიკური პრობლემების გავლენა პოლიტიკურ სიტუაციაზე**

თურქეთისთვის დამახასიათებელია, რომ მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მალევე აისახება ხოლმე პოლიტიკურ სიტუაციაზე, რისი ყველაზე ნათელი მაგალითი 2019 წლის 31 მარტს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები იყო, როდესაც თურქეთის დიდ ქალაქებში (სტამბოლი, ანკარა და იზმირი) გაიმარჯვეს ოპოზიციის კანდიდატებმა.

თურქეთში დამკვიდრებული ეს ტრადიცია გარკვეულწილად კორონავირუსის პანდემიის დროსაც გაგრძელდა. ამასთან, ქვეყანაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების ანალიზისას აშკარად ჩანს კავშირი ეკონომიკურ პრობლემებსა და პოლიტიკურ სიმპათიებს შორის.

---

\_\_\_\_\_

ასე მაგალითად, თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური კვლევების ცენტრის (Sosyo Politik Saha Arařtırmaları Merkezi) მიერ ივნისის თვეში მთელი თურქეთის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კითხვაზე, თუ რა წარმოადგენს ქვეყნის მთავარ პრობლემას, გამოკითხულთა 35,7%-მა უპასუხა, რომ ეს ეკონომიკა/უმუშევრობაა.<sup>21</sup>



*თურქეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აზრით, უმთავრესი პრობლემა ქვეყანაში ეკონომიკა და უმუშევრობაა*

იმავე კვლევის მიხედვით, კითხვაზე, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 30,9%-მა უპასუხა, რომ ხმას მისცემდა მმართველ „სამართლიანობისა და აღორძინების პარტიას“ (AKP).<sup>22</sup> მსგავს ვითარებას ვხედავთ „კონდასა“ და „მეტროპოლის“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, რომელთა მიხედვითაც, მმართველ პარტიას ხმას მისცემდა ამომრჩეველთა 30%.<sup>23</sup> მმართველ პარტიას ოდნავ მეტი მხარდაჭერა აქვს სტამბოლის ეკონომიკური კვლევების (İstanbul Ekonomi Arařtırma) ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით - 36,3%.<sup>24</sup>

**Bu Pazar milletvekili seçimi olsa hangi siyasi partiye oy verirsiniz?**

Karşılaştırma tablosu - %

	Şubat 2020	Mart 2020	Nisan 2020	Mayıs 2020
AKP	33,9	33,7	32,8	30,7
CHP	20,7	17,7	19,0	21,7
MHP	8,5	7,1	7,7	7,3
İYİ Parti	7,0	6,4	7,6	7,7
HDP	8,4	7,5	7,0	8,4
DEVA Partisi	0,6	1,1	1,6	1,3
Gelecek Partisi	1,0	0,9	0,5	1,3
SP	0,8	1,3	0,5	0,7
Diğer partiler	0,2	0,8	0,5	0,6
Kararsızım	7,4	8,9	8,0	7,7
Protesto oy	6,6	7,8	5,3	3,6
Cevap yok	4,8	6,7	9,4	8,9

Türkiye'nin Nabzi Mayıs 2020 araştırması CATI (Bilgisayar Destekli Telefonda Anket) yöntemiyle yapılmıştır.

KAYNAK: METROPOLL TÜRKİYE'NİN NABZI MAYIS 2020



*„მეტროპოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, სადაც ჩანს როგორ იკლებს მმართველი პარტიის (AKP) პოპულარობა 2020 წლის თებერვალ-მაისის პერიოდში*

ეს კი საკმაოდ სერიოზული ცვლილებაა შარშანდელ მონაცემებთან შედარებით. 2019 წლის 31 მარტს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების დროს მმართველმა პარტიამ ხმების 44,3% მიიღო.<sup>25</sup> ეს დამაფიქრებელი განსხვავებაა. აქ ის ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, რომ შარშანაც იყო პრობლემები თურქეთის ეკონომიკაში, თუმცა ის წელი, საერთო ჯამში, მაინც 0,9%-იანი ზრდით აღინიშნა.<sup>26</sup>

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება პოლიტიკურ ლიდერებთან მიმართებითაც. ევრაზიის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის (Avrasya Kamuoyu Araştırmaları Merkezi) პრეზიდენტის ქემალ ოზქირაზის განცხადებით, მისი ორგანიზაციის მიერ 9-12 ივნისს ჩატარებული კვლევების მიხედვით, დღეს რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა, სტამბოლის მერი ექრემ იმამოღლუ (ოპოზიციური CHP-ის - „სახალხო-

რესპუბლიკური პარტიის“ (წევრი) მოქმედ პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანზე 6,5%-ით მეტ ხმას მიიღებდა,<sup>27</sup> რაც თურქეთის რეალობაში მილიონობით ხმაა.

ეკონომიკა რომ უკვე იქცა შიდა პოლიტიკის მთავარ საკითხად, კარგად ჩანს თურქი პოლიტიკოსების განცხადებებში. თუ ხელისუფლება დამაიმედებელ სიგნალებს იძლევა ამ მიმართულებით, განსხვავებულ აზრზე არიან ოპოზიციურად განწყობილი ძალები. მაგალითად, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი აბდულა გული, რომელიც პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს, მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლებას ეკონომიკაში არსებული პრობლემების გამო.<sup>28</sup>

კიდევ უფრო შორს მიდის ოპოზიციური „კარგი“ პარტიის (İYİ Parti) ლიდერი მერალ აქშენერი, რომელსაც მიაჩნია, რომ თუ ქვეყანამ უახლოეს ხანში ვერ შეძლო 40 მლრდ აშშ დოლარის მოძიება, აგვისტო-ოქტომბერში ცუნამის მსგავს მოვლენებს უნდა ველოდოთ თურქეთის ეკონომიკაში.<sup>29</sup>

ასეთ სიტუაციაში თურქეთში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარებაზე, აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების საკითხზე, ასევე სირიისა და ლიბიის კონფლიქტებში თურქეთის აქტიურ მონაწილეობაზე და ბრძოლაზე ტერორისტულ ორგანიზაციებად მიჩნეულ FETÖ-ისა („ფეთულა გულენის ტერორისტული ორგანიზაცია“) და PKK-ის („ქურთისტანის მუშათა პარტია“) წინააღმდეგ.

## დასკვნები

- თურქეთი საქართველოსთვის ნომერი პირველი სავაჭრო პარნიორი და უშუალო მეზობელია. ამიტომ იქ განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები ბუნებრივად აისახება საქართველოზეც;
- ამასთან, ყველა მონაცემი იმაზე მიუთითებს, რომ თურქეთის ეკონომიკური პრობლემები გრძელვადიანია და უახლოეს ხანში შეუძლებელია მათი აღმოფხვრა. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სახის დაგეგმვაში, მათ შორის საქართველოსთვისაც, გასათვალისწინებელი იქნება ეს ფაქტორი;
- თურქეთში, ეკონომიკური სირთულეების ფონზე, საქართველოს ბევრი მოქალაქე შესაძლოა უმუშევარი დარჩა ან მომავალში დარჩება/შეუმცირდება შემოსავალი. სასურველია, მათი დასაქმების ალტერნატიულ გზებზე მუშაობის დაწყება;
- საქართველოსთვის, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციისთვის, სასურველია შავ ზღვაზე ჩვენ მოსაზღვრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან, ურთიერთობების გააქტიურება (მათ შორის, რეგულარული საბორნე მიმოსვლის უზრუნველყოფა ტვირთების შეუფერხებლად სამოდრაოდ);



- საკუთარ ეკონომიკურ პრობლემებში ჩაფლულ თურქ ინვესტორებს ნაკლები დრო და საშუალებები ექნებათ საქართველოში ინვესტიციების ჩასადებად. ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, ასევე მოსალოდნელია თურქი ტურისტების რაოდენობის კლება. შესაბამისად, ამ მიმართულებებითაც მნიშვნელოვანი იქნება ალტერნატივების შესწავლა და დაგეგმვა;
- თურქეთიდან გასული უცხოელი ინვესტორები ეძებენ ალტერნატიულ ქვეყნებს ფინანსების დასაბანდებლად. ამიტომ სასურველია შემუშავდეს მათი საქართველოში მოზიდვის სტრატეგია.

### **სქოლიო:**

1. Türkiye'deki Güncel Durum, <https://covid19.saglik.gov.tr/>;
2. ბატიაშვილი ზ., „კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე“, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>;
3. AVM'lerdeki doluluk oranı yüzde 50'lerde kaldı!, <https://emlakkulisi.com/avmlerdeki-doluluk-orani-yuzde-50lerde-kaldi/539581>;
4. Turkey's exports total \$9B in April, <https://www.aa.com.tr/en/economy/turkey-s-exports-total-9b-in-april/1857259>;
5. Turkey industrial output slumps record 31 percent, <https://ahvalnews.com/turkey-economy/turkey-industrial-output-slumps-record-31-percent>;
6. Yabancı ziyaretçi sayısı yüzde 99 azaldı, <https://www.sozcu.com.tr/2020/ekonomi/son-dakika-yabanci-ziyaretci-sayisi-yuzde-99-azaldi-5829819>;
7. Turkey criticises EU for excluding it from 'safe travel' list, <https://ahvalnews-com.cdn.ampproject.org/c/s/ahvalnews.com/eu-turkey/turkey-criticises-eu-excluding-it-safe-travel-list?amp>;
8. ბატიაშვილი ზ., „კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე“, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>;
9. Foreign visitors to Turkey slump 99 percent in May, <https://ahvalnews.com/turkey-tourism/foreign-visitors-turkey-slump-99-percent-may>;
10. Türkiye'den kaçan yabancı sermaye için 'durdurun' çağrısı, <https://ahvalnews-com.cdn.ampproject.org/c/s/ahvalnews.com/tr/turkiye/turkiyeden-kacan-yabanci-sermaye-icin-durdurun-cagrisi?amp>;

11. İhtiyaç kredisinde rekor artış; başvuruların sayısı nisan ayında 8'e katlandı!, <https://t24.com.tr/haber/ihtiyac-kredisinde-rekor-artis-basvuranlarin-sayisi-nisan-ayinda-8-e-katlandi,884407>;
12. Bütçe, ocak-mayıs döneminde 90 milyar lira açık verdi, <https://www.indyturk.com/node/196421/ekonomi%CC%87/b%C3%BCt%C3%A7e-ocak-may%C4%B1s-d%C3%B6neminde-90-milyar-lira-a%C3%A7%C4%B1k-verdi>;
13. Merkez Bankası rezervleri 102,7 milyar dolara düştü, <https://www.tarafsizhaberajansi.com/2020/02/27/merkez-bankasi-rezervleri-1027-milyar-dolara-dustu>;
14. Merkez Bankası rezervlerinde Katar etkisi, <https://ahvalnews-com.cdn.ampproject.org/c/s/ahvalnews.com/tr/merkez-bankasi/merkez-bankasi-rezervlerinde-katar-etkisi?amp>;
15. Özel sektörün uzun vadeli dış borcu 7.4 milyar dolar azaldı, <https://www.milliyet.com.tr/ekonomi/ozel-sektorun-uzun-vadeli-dis-borcu-7-4-milyar-dolar-azaldi-6237277>;
16. ბატიაშვილი ზ., „კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე“, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>;
17. Gıda enflasyonu dünyada düşüyor, Türkiye'de artıyor, <https://www.dw.com/tr/g%C4%B1da-enflasyonu-d%C3%BCnyada-d%C3%BC%5%9F%C3%BCyor-t%C3%BCrkiyede-art%C4%B1yor/a-53919614>;
18. ERDEMİR, A., GHASSEMINEJAD S., COVID-19 in Iran and Turkey: Mismanagement, Crackdowns, Economic Crises, and Corona-Diplomacy, <https://www.fdd.org/analysis/2020/06/05/covid-in-iran-and-turkey>;
19. „თურქეთში დასაქმებული ქალების აქცია ბათუმში – „დაიწყება მასობრივი შიმშილობა“, <https://batumelebi.netgazeti.ge/news/279497>;
20. „გახსნან საზღვარი, ან მოგვცენ კომპენსაცია“ – თურქეთში დასაქმებული ქალების აქცია სარგოში, <https://batumelebi.netgazeti.ge/news/283495>;
20. TUNCER R., Ekonomik sorun kronikleşti, halk düzeleceğine inanmıyor, <http://bianet.org/bianet/toplum/226117-ekonomik-sorun-kroniklesti-halk-duzeleceginde-inanmiyor>;
21. TUNCER R., Ekonomik sorun kronikleşti, halk düzeleceğine inanmıyor, <http://bianet.org/bianet/toplum/226117-ekonomik-sorun-kroniklesti-halk-duzeleceginde-inanmiyor>;
22. KONDA'dan sonra Metropoll anketi: AKP'de üç ayda rekor düşüş!, <https://ahvalnews.com/tr/secim-anketleri/kondadan-sonra-metropoll-anketi-akpde-uc-ayda-rekor-dusus>;
23. ბატიაშვილი ზ., „რატომაა მნიშვნელოვანი 2019 წლის 31 მარტს თურქეთში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები“, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/937>;
24. Anket: AKP'nin oy oranı düşmeye devam ediyor, DEVA Partisi ikiye katlandı, <https://t24.com.tr/haber/anket-akp-nin-oy-orani-dusmeye-devam-ediyor-deva-partisi-ikiye-katlandi,887997>;

25. Son dakika... 2019 büyüme rakamları açıklandı, <https://www.hurriyet.com.tr/ekonomi/son-dakika-buyume-rakamlari-aciklandi-41457376>;

26. Avrasya Araştırma son anket sonucunu paylaştı... Çarpıcı sonuçlar, <https://www.sozcu.com.tr/2020/gundem/avrasya-arastirma-son-anket-sonucunu-paylasti-ikinci-turakalirsa-5879428>;

27. Uzun bir aradan sonra Abdullah Gül'den ekonomi uyarısı: Kaygı verici, <https://ahvalnews.com/tr/abdullah-gul/uzun-bir-aradan-sonra-abdullah-gulden-ekonomi-uyarisi-kaygi-verici>;

28. Meral Akşener: Ağustos-Ekim'de tsunami geliyor, <https://www.karar.com/meral-aksener-agustosekimde-tsunami-geliyor-1571032>.